# მუსლიმი ის არის, ვისგანაც მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისა და ხელისგან, ხოლო მუჰაჯირი ის არის, ვინც მიატოვებს იმას, რაც ალლაჰმა აკრძალა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მუსლიმი ის არის, ვისგანაც მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისა და ხელისგან, ხოლო მუჰაჯირი ის არის, ვინც მიატოვებს იმას, რაც ალლაჰმა აკრძალა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვდიობა მას) გვამცნო, რომ სრულყოფილი მუსლიმი ის არის, ვისგანაც სხვა მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისგან: არ ლანძღავს მათ, არ აგინებს, არ ჭორავს და არ ავრცელებს მათ შორის რაიმე სახის ზიანს თავისი ენით. ასევე დაცულნი არიან მისი ხელისგან: არ ერჩის მათ, არ იტაცებს მათ ქონებას უსამართლოდ და არ ჩადის რაიმე მსგავს ქმედებას. მუჰაჯირი ის არის, ვინც ტოვებს იმას, რაც უზენაესმა ალლაჰმა აკრძალა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10101